პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 90 (18932) სამშაბათი, 17 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის! მთლიანად და გადამეტებით შეასრულოთ 1984 წლის გეგმა და მთელი ხუთწლედის დავალებანი!

სსკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

პარტიის საქმე მთელი ხალხის საქმეა!

შაბათობა გვიხმობს

მოწინავეთა მხარდამხარ

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის პროდუქციას კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც — უკრაინაში, შუა აზიაში, რუსეთის სხვა რესპუბლიკაში და სხვაგან.

ეს არც არის გასაკვირი. საბავშვო ნაწარმის 66 მოდელიდან 58-ს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული.

მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით 45 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, აქედან 34 ათასი მანეთისა ხარისხისნიშნიანია. ეს გახლავთ ჟაკეტები, სვიტრები, კაბები, კოსტიუმები, რომლებზეც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნაა.

წითელ შაბათობის დღეს — 21 აპრილს ფაბრიკის კოლექტივი 40 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს და ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 8.100 მანეთს. იმათ შორის, ვინც შრომით ვახტზე გამოვა, იქნებიან ახალგაზრდა მქსოველები, კომკავშირელები ნელი სამკუაშვილი (მარცხნივ) და ოფელია ალექსანიანი. ისინი ვალდებულებას კისრულობენ ამ დღეს 150 პროცენტით შეასრულონ ცვლის დავალებანი.

ხუთწლედის ფონდში

სოხუმი. (საქ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს მიმდინარე წელს სოხუმის ქიმიური ქარხნის კოლექტივი. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ ინიციატივას — ვ. ი. ლენინის დაბადების 114-ე წლისთავის აღსანიშნავად ...

... ნაცში 60 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, სამშენებლო ორგანიზაციები მიიღებენ 2230 ტონა ცემენტს, 140 ათას პირობით ფილა შიფერს, 110 კუბურ მეტრ ხე-ტყეს. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1200 მანეთი.

უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით

ზეგეგმითი ცემენტი

ეს დღეები სოფლად

თესავენ კაკვიანებში

ჩლიქი — შერჩეულებზე უკეთ

ПРАВДА 16 აპრილის მოწინავე

ხსოვნას შემთხვევლა მერაფერს აღემატ

სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად

ბაზრობა იწვევს მომხმარებლებს

წარმოების ინტენსიფიკაციის დარგის საუკეთესო ნამუშევრების კონკურსის გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეაჯამა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამომთვლელი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსის 1982-1983 წლების შედეგები და დაჯილდოვა:

მრეწველობის დარგში

პირველი პრემიით 1200 მანეთის ოდენობით — ნამუშევრისათვის „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ფეროშენადნობთა წარმოებაში დახალნორტული მანგანუმის კონცენტრატების დანერგვა": ივანე ილაქის ძე არაბული — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი; გურამ ბენედიქტეს ძე ქაშაკაშვილი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილი დირექტორი; ვალენტინა ვასილის ასული პეროვა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი; თენგიზ ილოლტის ძე ...

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „წიაღისეული საბადოების დამუშავების" კათედრის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი; გივი ბორისის ძე გუჯეჯიანი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის" ტრესტის მმართველი; გენო კილენიკეს ძე დოლიძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ორგტექმშენის" სამთო განყოფილების უფროსი; თენგიზ ვახტანგის ძე ქუთათელაძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „წიაღისეული საბადოების დამუშავების" კათედრის სამეურნეო ხელშეკრულებრივი თემის დამუშავების მონაწილე, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი; თენგიზ ოქროს ძე ლაცაბიძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ორგტექმშენის" მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ...

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში

მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამომთვლელი ტექნიკის დარგში



760.000 ტონა ყურძნისათვის

ჯერ ვაზი და მერე...

სახალხო კონტროლის, მევენახე სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ერთობლივი რეიდი ქვემო ქართლის ზვრებში

აპრილის ნახევარზე მეტი გავიდა და ახლა გამრჯე მეზვრეს ვენახი უკვე გასხლული უნდა ჰქონდეს.

ქვემო ქართლის რაიონებში, ბოლნისში, თეთრიწყაროსა და მარ-...

...ლებაა საჭირო (მაგრამ არა უნებართვოდ). დღევანდლისათვის კი მეურნეობის მთელი შესაკეთებელია 90 ჰექტარზე, ვაზი მხოლოდ 50 ჰექტარზეა შეყელილი.

დავაჩქაროთ მეცნიერული ნამუშევრების დანერგვა

პარტიული კომიტეტების წევრ წარმოების მუშაკთა სწავლება

ხსოვნას შამთასვლა მერაფერს აკლებს

(დასასრული)

115-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ც. თუხარელმა. — იგი არც ისე დიდი ხნის წინათ იშვა, მაგრამ უკვე ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს მართლაც რომ ისტორიის გაკვეთილებია, რომლებიც მოზარდ თაობას მაღალი მოქალაქეობრიობის გრძნობას უნერგავენ.

დღეებში ერთდება მრავალი ადამიანის ხსოვნაც.

პიონერები და კომკავშირელები, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ჭაღარით მოსილი ვეტერანები მოვიდნენ დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ მეომართა მემორიალ-სამმო სასაფლაოზე. აქ დაკრძალულნი არიან ჯარისკაცები და ოფიცრები — რუსები და ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები, ლატვიელები და უზბეკები, ჭრილობებისაგან რომ გარდაიცვალნენ თბილისის ჰოსპიტლებში.

გი და მუსიკოსი მათი ალზრდილია. პეტერბურგში განათლების მიღების შემდეგ ცოლ-ქმარი ნინო და ვალერიან გოგიტიძეები ბათუმში ჩამოვიდნენ და აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ნიჭმა, უშრეტმა სულიერმა სითბომ ხელი შეუწყო მათ მუსიკოსების ოსტატობისა და პროფესიული მომზადების თავისებური სკოლის შექმნას. ამის შესახებ, ნინო და ვალერიან გოგიტიძეების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს სასწავლებლის დირექტორმა ა. მსხალაძემ, პედაგოგმა ა. ზამბახიძემ და სხვებმა. აჟღერდა „შენ ხარ ვენახი" და „მრავალჟამიერი" ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორანანის" შესრულებით. რევაზ ლალიძის სიმღერა კინოფილმიდან „ქეთილი ადამიანები" შეასრულა სასწავლებლის სიმფონიურმა ორკესტრმა.

ნები. არქივის ძველ დოკუმენტებში ძიების შედეგად გამოირკვა დროთა განმავლობაში საფლავის ქვებზე წაშლილი ბევრი სახელი, შესაძლებელი გახდა ნათესავების ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან მოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

გულთამჭირელი ტრადიცია

კავკასიონის უღელტეხილების მამაც დამცველთა სისხლით მორწყული წმიდათაწმიდა მიწა ჩაიტანა სოხუმში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გენერალ ლესელიძის არმიის ჯარის ნაწილების ყოფილმა გამცილებელმა, აფხაზეთის მაღალი მთის სოფელ აჟარის ასი წლის მცხოვრებმა ბატალბი წულუკიძემ. ომისა და შრომის ვეტერანებთან, კომკავშირელებთან და პიონერებთან ერთად მოვიდა იგი აქ, რათა პატივი მიეგო გმირულად დაღუპული მეომრებისათვის, იდგა მარადიულ ცეცხლთან საპატიო ყარაულში.

არავინ და არაფერია დავიწყებული! აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ხსოვნის დღეს ამ ლრმამნიშვნელოვანმა სიტყვებმა განსაკუთრებული ჟღერადობა შეიძინა. ისინი შეეფერება ამ ახალ ხალხურ ტრადიციას. გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგებსა და სხდომებზე მათ კეთილი სიტყვით იხსენიებდნენ თანამოსაქმეები. ამ ორი დღის მანძილზე უამრავი ხალხი იყო სასაფლაოებზე. ისინი უვლიდნენ თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების საფლავებს, მიტოვებულ საფლავებს, ამწვანებდნენ მიმდებარე ტერიტორიას, რგავდნენ ყვავილებს.

— დღეს დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხსოვნის დღე, როგორც ახალი კეთილი ტრადიცია, უკვე დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, — თქვა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა მარიამ ადლეიბამ. — ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, განსაკუთრებული ყაიდის ადამიანები ვართ. ჩვენთან, სოფელში, სიხარულიც და მწუხარებაც საერთო გვაქვს. ახალი რიტუალი კიდევ უფრო ახლოვებს ადამიანებს.

მწერლებისა და პოეტების საფლავები შეამკეს ყვავილებით, წაიკითხეს მათი ნაწარმოებების ნაწყვეტები.

ეს სჭირდებათ ცოცხლებს

რესპუბლიკის დედაქალაქის დღევანდელ დღესთან რევოლუციური წარსულის გადაჯაჭვულად გაისმა იმ შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლები, რომელიც გაიმართა თბილისელთათვის ოქტომბრის რაიონის ყველაზე უფრო პატივსაცემ ადგილას. ძველ ბოლშევიკთა მემორიალურ სასაფლაოზე შეიკრიბნენ ისინი, ვინც ახალგაზრდობა ბრძოლის ველზე გაატარა — რაიონის მშრომელები, ახალგაზრდობა, მოწაფეები.

... მემორიალის ხეივანში ჩამწკრივებულან პიონერები. შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ პარტიისა და შრომის ვეტერანები.

წესრიგი საერთო საზრუნავია

პრესკონფერენცია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრთან

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ...

— როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა დებულება „საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიებისა და შრომითი კოლექტივების იმ პირთა გამოვლენის, შრომ-

— „მახალა დაბრუნებულია დამატებითი გამოძიებისათვის" — ეს ყოველთვის ნიშნავს, რომ გა-

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

16 აპრილი

მსოფლიოში

ფაქტები მოვლენები

საქმისი იუწყება

● ზამბია

პრეზიდენტის მოთხოვნა

ვაშინგტონი. ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ მოითხოვა დაუყოვნებლივ მოისპოს სამხრეთ აფრიკაში კოლონიალიზმისა და რასიზმის ბოლო კერები.

ამერიკის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის" და ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კაცთმოძულე რეჟიმის პოლიტიკა ამ რეგიონში უკიდურესი დაძაბულობის მთავარი მიზეზია.

პრეტორიის ხელისუფლება, თქვა ზამბიის ხელმძღვანელმა, ცდილობს გააჭიანუროს ნამიბიის დეკოლონიზაციის საკითხის გადაწყვეტა. მისი მიზანი ცხადია, ვეღარ ...

... ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ნამიბიის პრობლემის მოწესრიგების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ამ ქვეყნის ტერიტორიიდან რასისტთა საოკუპაციო ჯარების მთლიანად გაყვანას და იქ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების მოწყობას საერთაშორისო კონტროლით, ხოლო შემდეგ ნამიბიაში დაამკვიდროს ნეოკოლონიალისტური რეჟიმი. მაგრამ ამ განზრახვას, თქვა კ. კაუნდამ, აბდენა არ უწერია.

კ. კაუნდამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები მათ მიერ ოკუპირებულ ანგოლის რაიონებიდან, აგრეთვე მოისპოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სამარცხვინო აპარტეიდის სისტემა.

● აშშ

სენატორი აკრიტიკებს

სან-ფრანცისკო. რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსი აღსავსეა ომის საფრთხით, ხოლო მის საშინაო პოლიტიკას ქვეყანა დამღუპველ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებამდე მიჰყავს, განაცხადა სენატორმა გ. ჰარტმა, რომელიც იბრძვის დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტობის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებისათვის.

ქ. ბერკლიში (კალიფორნიის შტატი) გამოსვლისას, გ. ჰარტმა განაცხადა, რომ რ. რეიგანის კიდევ ერთი ვადით არჩევა გამოიწვევს უაზრო და მეტად საშიში ბირთვული შეიარაღების განვრცობას, ამერიკელთა მოქალაქეობრივ უფლებებზე შეტევის გაძლიერებას. გ. ჰარტმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის შეიარაღებული ჩარევა ცენტრალურ ამერიკაში.

● არგენტინა

კომუნისტური პრესის დღესასწაული

ბუენოს-აირესი. არგენტინის დედაქალაქში დამთავრდა კომუნისტური პრესის დღესასწაული, რომელიც ქვეყანაში პირველად მოეწყო. მასში მონაწილეობდა დედაქალაქის ორი ათასზე მეტი ...

ექსპოზიციამაც. „პრავდის" დელეგაცია ესწრებოდა დღესასწაულს.

როგორც ორატორებმა აღნიშნეს არგენტინაში კომუნისტური პრესა — ყოველკვირეული „კა ...

... დიდი ინტერესი გამოიწვია სოციალისტური და მთელი რიგი სხვა ქვეყნების პრესის ცენტრალური ორგანოების ექსპოზიციებმა, მათ შორის გაზეთ „პრავდის" ...

აზიაში ამერიკის მუქარის წინააღმდეგ

ამერიკის იმპერიალიზმის მზარდი მუქარის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგით ჩაიარა აზიის კვირეულმა. იგი მოეწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 5-დან 12 აპრილამდე. სრულიად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა ათობით მილიონმა კაცმა მტკიცედ დაგმო რეიგანის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი გეგმები ჩაითრიოს აზია დასავლეთ ევროპასთან ერთად — თავისი ექსპანსიონისტური სტრატეგიის ორბიტაში, გადააქციოს მორიგელ ადმოსავლეთი მოწინავე ბაზირების ამერიკული ბირთვული საშუალების განლაგების მიჯნად. ამ მიზნით წყნარი ოკეანის რაიონში გაძლიერებით აგროვებენ ახალ რეაქციულ კავშირს ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ახლანდელი სამხრივი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ბაზაზე, რომელშიც ჩათრევასაც უპირებს ვაშინგტონი რეგიონის სხვა ქვეყნებსაც.

პენტაგონის განზრახვით აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკული იარაღის განლაგებისათვის ძირითადი პლაცდარმის როლი ეკუთვნით იაპონიასა და სამხრეთ კორეას. ამასთან შეერთებული შტატები ბოლო წლებში უპ-

რეცედენტო მასშტაბით უვრის თავს სამხედრო-საზღვაო ძალებს ინდოეთის ოკეანის აუზშიც. მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — არაბეთის ზღვა, სპარსეთის ყურე თვითნებურად გამოაცხადეს „ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული ინტერესების ზონად". გაფართოვდა და განახლდა ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სტრატეგიული ბაზა ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძულზე. აქ შექმნა მძიმე შეიარაღების, ტექნიკისა და ტყვია-წამლის მარაგი ინტერვენციონისტული აქციების მოწყობისათვის. ამავე დროს მტკიცედ წარმოებს მოლაპარაკება ნატოს მოქმედების სფეროს ინდოეთის ოკეანეზე გავრცელების შესახებ.

შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული „გლობალური სტრატეგიის" მიზანი აშკარად ის არის, რომ რაკეტულ გარემოცვაში მოაქციოს საბჭოთა კავშირი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. ამავე დროს იგი საფრთხეს უქმნის აზიისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებს. „ჩვენ კარგად გვესმის, — განაცხადა მასობრივ მიტინგზე ინდოეთის მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლმა ნ. რაომ, — რომ ბირთვული ომი, თუკი იგი იფეთქებს, ჩვენი კონტინენტის ყველა სახელმწიფოს შეეხება. უფრო მეტიც, მისი ვრცელი რაიონები იტალიაში განლაგებული ახალი ამერიკული რაკეტების მიერ პირდაპირი დაზიანების ზონაში აღმოჩნდა. აზიის ცენტრში გაგზავნება აგრეთვე ბირთვული საშუალებანი, რომლებსაც პენტაგონი გზავნის თავის ბაზაზე დიეგოგარსიას კუნძულზე".

შრი-ლანკის მშვიდობის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ლ. არიავანსამ ხაზი გაუსვა, რომ აზიის ... აღმოსავლეთში ამერიკის მხედრიონის დანაშაულებრივი აქციები, ამერიკის შეერთებული შტატების გამოუცხადებელი ომი ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვამხედრება ... ხელი იგდოს სამხედრო ბაზები სამხრეთ აზიაში. შრი-ლანკის მშვიდობისათვის მებრძოლების, მთელი პროგრესული ძალები, ხაზი გაუსვა მან, მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც მიზნად მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას ისახავს.

ფოტორეპორტაჟი

● ლიბანი

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ცეცხლის შეწყვეტას, რაზეც მორიგდნენ ლოზანაში გამართულ ეროვნული დიალოგის კონფერენციაზე, ბეირუთში ბრძოლები გრძელდება.

ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი უშენენ ლიბანის დედაქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორების ზღვრ უბანს. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან მსხვერპლი.

სურათზე: ეს ქალი ლიბანის დედაქალაქში სროლის დროს დაჭრეს.

აპ-სააგენტოს ფოტო.

მთავარი ექიმების საბჭო

თელავი. (საქინფორმის სპეც. კორ.). შეიქმნა მთავარი ექიმების რესპუბლიკური საბჭო. მის პირველ კრებაზე, რომელიც თელავში ორ დღეს მიმდინარეობდა, განიხილეს მედიცინის მუშაკთა დღის მთავარი ამოცანა: მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციისათვის მზადება.

კრების გახსნისას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გ. გ. ლეჟავამ აღნიშნა, რომ მთავარი ექიმების საბჭოს შექმნა ახალი წამოწყებაა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთლიანად ქვეყანაში. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო. მისი ძირითადი დანიშნულებაა — მთავარ ექიმს, რომელიც ძნელად გადასაწყვეტი პრობლემების წინაშე დგას, საშუალება მისცეს კოლეგებს გაუზიაროს აზრები, მოძებნოს მათი გადაწყვეტის უკეთესი ოპტიმალური გზები.

კრებამ მიიღო კონკრეტული რეკომენდაციები მოსახლეობის საყოველთაო ყოველწლიური დისპანსერიზაციისათვის მზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

მხატვრული სიმწიფის გამოცდა

ამ დღეებში ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტებმა, რომლებიც გაიმართა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

კონცერტებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმ გარემოებით, რომ მათში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. არხიპოვა და ვ. პიავკო, არამედ უმთავრესად იმით, რომ ორკესტრი საჯაროდ გამოდიოდა ერთობ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რის მიზეზიც გახლდათ მთელი რიგი საორგანიზაციო და შემოქმედებით-პროფესიული სიძნელეები.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობას ზრუნვა და მეცადინეობა არ დაუკლია ორკესტრის მხატვრული პოტენციალის აღდგენისათვის. ფაქტობრივად ხელახლა დაკომპლექტდა მისი შემადგენლობა, ორკესტრში მოიწვიეს კვალიფიციური შემსრულებლები, რაც განსაკუთრებით საჩიკეთოდ დაეტყო ხისა და ლითონის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფებს, ნაწილობრივ, გახალდა თვით საკრავთა ფონდიც. ორკესტრის სათავეში ჩაუდგა გამოცდილი და ნიჭიერი დირიჟორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გივი აზმაიფარაშვილი, რომელიც გატაცებით მუშაობდა ორკესტრის ახალი შემოქმედებითი კოლექტივის ჩამოყალიბებასა და სრულქმნაზე.

კონცერტები განახლებული ორკესტრის მხატვრული სიმწიფისა და პროფესიული მზადყოფნის გამოცდად გადაიქცა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა.

დირიჟორის უპირველეს დამსახურებად ის მიგვაჩნია, რომ მან შექმნა ერთიანი, თანაბარი, როგორც მუსიკოსები იტყვიან, გაწონასწორებული წყობის მქონე მხატვრული კოლექტივი. ყველა საორკესტრო ჯგუფი კომპაქტურად ჟღერს, მათი ბგერითი პალიტრა საკმაოდ მრავალფეროვანია, შესრულების მანერა — რბილი და არაფორსირებული, ჯგუფებს სათავეში უდგანან ფრიად კვალიფიციური კონცერტმაისტერები. ყოველივე ეს და, ცხადია, თვით კონცერტების მხატვრული დონე უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის სახით ამჟამად გვყავს კარგად ორგანიზებული, კვალიფიციური საშემსრულებლო კოლექტივი.

დიდი სიამოვნება მოგვგვარა გ. აზმაიფარაშვილის ხელოვნებამ. იგი ტემპერამენტულად უძღვება ორკესტრს და იტაცებს მსმენელის ყურადღებას.

კონცერტების პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ ორკესტრის საშუალება მისცემოდა ეჩვენებინა თავისი ოსტატობა, როგორც კაპიტალური სიმფონიური ნაწარმოებებისა და ვირტუოზული საორკესტრო პიესების, ისე საოპერო მუსიკის აკომპანემენტში.

ჩაიკოვსკის V სიმფონია, რომელიც დირიჟორმა შეარჩია განახლებული ორკესტრის დებიუტისათვის, იმდენადვე ეფექტიანი და „მომგებიანია", რამდენადაც რთული შესასრულებლად, განსაკუთრებით, მისი პირველი და მეოთხე ნაწილები. დირიჟორმა შეძლო წარმატებით გადაეწყვიტა უპირველესი ამოცანა — ამ ნაწილების ფორმის კონცენტრირება და გამოკვეთა. ხალასი ექსპრესიით შესრულდა შთაგონებული მეორე ნაწილი.

სხვაგვარ, მაგრამ თავისებურად რთულ მხატვრულ ამოცანებს უსახავს შემსრულებლებს მენდელსონის ცნობილი „იტალიური სიმფონია", რომელიც მათგან მოითხოვს მელოდიური ხაზების მკაფიო გამოკვეთას, ტემბრული პალიტრის სიმდიდრის გამოვლენას, მზიური სამხრეთული კოლორიტის წარმოჩენას.

შესრულების საერთო დონე აქაც მაღალი იყო, მაგრამ, ნათქვამია, „სრულყოფას საზღვარი არა აქვსო" და, ალბათ, ამას არ დაივიწყებენ თავის მომავალ მუშაობაში დირიჟორიც და ორკესტრიც. განსაკუთრებით კი, ეს შეეხება ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზიას — „რომეო და ჯულიეტას".

ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მსმენელებს ადრინდელი და გვიანდელი მუსიკალური რომანტიზმის შედევრების — ვებერის „ობერონისა" და ვაგნერის „ნიურნბერგელი მაისტერზინგერების" საოპერო უვერტიურების მოსმენამ, ორკესტრის უტყუარი შემოქმედებითი შესაძლებლობები აქ მკაფიოდ გამოვლინდა და წარმატებაც სავსებით დამსახურებული და კანონზომიერი იყო.

შედარებით ძუნწად იყო წარმოდგენილი ქართული მუსიკა — ბ. კვერნაძის „საზეიმო უვერტიურა" და ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას" ორი საორკესტრო ფრაგმენტი.

გ. აზმაიფარაშვილი საოპერო დირიჟორობის ცნობილი ოსტატია და ბუნებრივია, რომ კონცერტებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საოპერო ფრაგმენტებმა და ვოკალურმა ნომრებმა. მსმენელებს მალიან მოეწონათ პროგრამის ეს ნაწილი, მით უმეტეს, რომ დირიჟორს აქ ისეთი დიდებული „მოკავშირეები" ჰყავდა, როგორებიც არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. არხიპოვა და ვ. პიავკო.

გამოჩენილმა მომღერალმა ი. არხიპოვამ მსმენელები მოხიბლა აზუჩენას არიის (ვერდის „ტრუბადური"), „ჰაბანერას" (ბიზეს „კარმენი") და სანტუცას არიის (მასკანის „სოფლის პატიოსნება") ოსტატური შესრულებით, ვ. პიავკომ კი ოტელოს მონოლოგისა (ვერდის „ოტელო") და ტურიდუს არიის (მასკანის „სოფლის პატიოსნება") შესრულებით. გარდა ამისა, მათ იმღერეს დუეტები ბიზესა და მასკანის ოპერებიდან.

ორივე კონცერტზე ხალხმრავლობა იყო და საზეიმო განწყობილება სუფევდა. ახლად ჩამოყალიბებულმა ორკესტრმა საკმაო დამაჯერებლად, შთამბეჭდავად დაიწყო მოღვაწეობა.

გ. ტორაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათებზე: მღერიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. არხიპოვა და ვ. პიავკო; უკრავს საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

22 აპრილს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს

„ღია კარის" დღეს

ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. 77, მთავარი კორპუსი) 12 საათზე მოეწყობა რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა მოსწავლეებთან.

გასული წლების მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები მათ ესაუბრებიან მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

შეხვედრის შემდეგ დეკანები, კათედრათა გამგეები და პროფესორ-მასწავლებლები საშუალო სკოლის მოსწავლეებს დაათვალიერებინებენ ფაკულტეტების კაბინეტ-ლაბორატორიებს, განუმარტავენ სპეციალობათა არსს, რჩევა-დარიგებას მისცემენ მომავალი პროფესიის არჩევაში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 1983 წლის მისაღებ გამოცდებზე საშუალო სკოლის მედალოსნები, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების წარჩინების დიპლომის მქონე კურსდამთავრებულები პირველ გამოცდას აბარებენ არქიტექტურის ფაკულტეტზე ხატვაში, ყველა დანარჩენ ფაკულტეტზე — მათემატიკაში (ზეპირი).

ის პირები, რომლებსაც საშუალო განათლების დოკუმენტში აქვთ შეფასება „ხუთი" და „ოთხი" და საშუალო ქულა არანაკლებ 4,5 (დაუმრგვალებლად), პირველ ორ გამოცდაში — მათემატიკაში (ზეპირი) და ფიზიკაში (წერა) შედეგად 9 ქულის დაგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან დღის სწავლების ენერგეტიკის, სამთო, მეტალურგიის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის (გარდა საავიაციო და საკომპრესორო მანქანების და მოწყობილობების სპეციალობისა), ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის, სატრანსპორტო (გარდა ხიდების და გვირაბების სპეციალობისა), საინჟინრო ფიზიკის, გეოლოგიის, კავშირგაბმულობის ელექტრომექანიკის და ელექტრონიკის (გარდა ელექტრონული სამედიცინო აპარატურის სპეციალობისა) ფაკულტეტებზე.

ჩარიცხვის ეს წესი გავრცელდება საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ყველა ფაკულტეტზე.

რექტორატი.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი

აცხადებს ფოტოკონკურსს

ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების, ბუნების ქომაგთა ნამუშევრების, ბუნების ძეგლების ამსახველ საუკეთესო ფოტოსურათისათვის კონკურსზე, რომლის დევიზია: „ნუ კვდება რაც უბრძნესია, ნუ კვდება რაც ლამაზია!" მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც ფოტომოყვარულთ, ისე სპეციალისტებსაც.

კონკურსის პირობები ასეთია:

ფოტოსურათი შავ-თეთრი ან ფერადი, თან ახლდეს ნეგატივი; ზომა: 18X24;

ფოტოს უკანა მხარეს აღინიშნოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი, პროფესია და სამუშაო ადგილი;

პრემირებული და ჟიურის მიერ რეკომენდებული ფოტოსურათები დაიბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში;

ნამუშევრები ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 15 მაისისა;

ფოტოსურათი და ნეგატივი ავტორს აღარ უბრუნდება;

ავტორებმა თავიანთი ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ მისამართით: 380062, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 35, საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, „ფოტოკონკურსისათვის". ტელ.: 22-47-92; 22-21-94.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი I პრემია — 150 მან.
ორი II პრემია — 100 მან.
სამი III პრემია — 50 მან.

საკონკურსო საორგანიზაციო კომიტეტი.

გასტროლები, რომელსაც ელოდნენ...

ერევანი. (საქინფორმის სპეც. კორ.). ოთხი დღის მანძილზე გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრის სცენაზე სპექტაკლებს მართავდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივი. „მეგობრობის" თეატრის მოწვევით ქართველმა მსახიობებმა ერევანში ჩამოიტანეს ორი სპექტაკლი — ა. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე" და რ. იბრაგიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში".

გასტროლების დროს რესპუბლიკის დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობა გაეცნო მთელ რიგ წამყვან მსახიობებს, რომელთა შორის არიან საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ედიშერ მაღალაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მარინე თბილელი, გურამ საღარაძე, ნანა ფარულაშვილი, ვიქტორ ნინიძე, კარლო საკანდელიძე, ჯემალ ღაღანიძე, დამსახურებული არტისტები რუსლან მიქაბერიძე, დავით პაპუაშვილი, დიმიტრი ჩხიკვაძე და სხვები.

გასტროლები დამთავრდა სპექტაკლით „დაკრძალვა კალიფორნიაში", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. სპექტაკლს დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. დალაქიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ს. ავეტისიანი.

სპექტაკლის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ხელოვნების მოღვაწეებმა გაგვიზიარეს თავიანთი აზრი გასტროლების შესახებ.

ბაბკენ ნერსესიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი: ქართველი კოლეგების ხელოვნებას დიდი ხანია ვიცნობ, კარგად ვიცნობ ეროვნული კულტურის ამ კერის უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებთან ერთად ვასრულებდი პიესა რთულ ამავე სახელწოდების სპექტაკლში. სასიხარულოა, რომ დასის ახალგაზრდა შემადგენლობა წმიდათაწმიდად იცავს და აგრძელებს ეროვნული თეატრალური ხელოვნების ტრადიციებს.

რობერტ სტურუა დიდი გემოვნების რეჟისორია. იგი ისეთ თემებს ირჩევს ხოლმე, რომელიც მაყურებელს აღელვებს. ენაზე მის მიერ დადგმული პიესა „კავკასიური ცარცის წრე", და აი, ახლა — „დაკრძალვა კალიფორნიაში". ორი განსხვავებული სპექტაკლია, მაგრამ ორივეში იგრძნობა დიდი ოსტატის ხელწერა. არ მინდა გამოვყო რომელიმე მსახიობი. ყველა მათგანი კარგია და თავისი მოწოდების დონეზე დგას.

ბადრი კობახიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი: ერევნელებთან შეხვედრისათვის ყოველთვის ისე ვემზადებით, როგორც პრემიერისათვის. ერევნელებთან, სომეხ ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრები სულიერად გვამდიდრებს, შთაგვაგონებს ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

რომან შეროზია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ბიოგრაფიაც საქართველოს განაპირა სოფლის ღარიბი გლეხის ოჯახიდან იწყება და თავდადებული შრომით თვალსაჩინო მოღვაწის მდგომარეობამდე მაღლდება. ასე რომ, მისი დაბადების 70 წლისთავს საგანგებოდ აღნიშნავენ მოსკოველი კოლეგებიც, სსრ კავშირის მხატვართა ფონდის ხელმძღვანელები. შინაგანმა ძალამ, რომელსაც რომან შეროზია მუდამ ავლენდა, იგი თავიდანვე თავისი ასაკისათვის შეუფერებელ მოვალეობებს დაუკავშირა: სოფელ ყულისკარის შვიდწლიანი სკოლისა და ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრებისთანავე, 18 წლის რომან შეროზია ჯერ სოფელ ტყაიის არასრული სკოლის გამგეა, შემდეგ ხობის რაიონული

რ. შეროზიას სკულპტურული ნამუშევარი „გამარჯვების დროშა".

ხელოვანი და დრო

ენერგიულად ილვწის

გაზეთის „სოციალისტური მშენებლის" ლიტერატურის სექტორის ხელმძღვანელი, ხობის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, ხობის განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, რაიონული პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

ასეთი შრომითი გამოცდილების შემდეგ რ. შეროზია ასრულებს ბავშვობის ოცნებას და იწყებს სწავლას თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე. აქ მას წილად ხვდა ბედნიერება და იგი ქართული საბჭოთა ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებლის ნ. კანდელაკის მოწაფე გახდა. ქართული საბჭოთა ქანდაკების ორი ფუძემდებელი ი. ნიკოლაძე და ნ. კანდელაკი თავთავიანთი ნამოწაფერებითურთ, რომელთა შორისაც გამორჩევით უკვე სახელოვან მოქანდაკეპედაგოგებს, საინტერესო შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნიდნენ მოსწავლეთა შორის.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოჩნდა, რომ რომან შეროზია მზად იყო სერიოზული საქმიანობისათვის. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაადასტურა გიორგი ჭალადიდელის ქანდაკებამ, რომელიც 1940 წელს დაიდგა ქ. ცხაკაიაში. მაგრამ ახალგაზრდა მოქანდაკემ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია, როცა სახალხო გმირის უტუ მიქავას ფიგურული კომპოზიცია შექმნა. „უტუ მიქავას თემის არჩევანი შემთხვევითი არ იყო, — იხსენებს უკვე სიჭარმაგეში მესული მოქანდაკე, — ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხუცების გადმოცემით და მას შემდეგ, რაც ბოროზდინის „სამეგრელო" წავიკითხე, არ მასვენებდა სურვილი, რომ ოდესმე უტუ მიქავას გამოსახული სახე ქანდაკების საშუალებით გამეცოცხლებინა". ეს იყო მოქანდაკის პირველი სერიოზული წარმატება, რომელმაც მის შემოქმედებით ბიოგრაფიას მკაფიო კვალი დააჩნია. იმჟამად გახდა, რომ ზრუნვას, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხვდა წილად, უნაყოფოდ არ ჩაევლო. მისეული „უტუ მიქავა" აღმართულია ქალაქ წალენჯიხის მოედანზე. კომპოზიცია ექსპონირებული იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში მოსკოვში.

დიდი სამამულო ომის წლებში რომან შეროზია მოსკოვის ქანდაკების კომბინატის თანამშრომელია, სადაც მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას იძენს თავის დარგში. 1945 წლიდან იგი თბილისის მკვიდრია და დაუღალავად ეწევა შემოქმედებით და საზოგადოებრივ მუშაობას.

მოქანდაკის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული წარმატება ხვდა „მელიტონ ქანთარიას", „თამარ ყუფუნიას", „ქეთინა სარსანიას", „რაფიელ ერისთავს", „იონა მეუნარგიას"...

სახალხო გმირი უტუ მიქავა არაერთხელ ყოფილა ამ მოქანდაკის შემოქმედებითი თემა. მოგვიანებით მან ამ გმირის თავი გამოძერწა, რომელიც ჩვენს ხელოვნებაში დარჩება როგორც ერთ-ერთი უდავოდ ყურადსაღები ქმნილება. იგი 1959 წელს ექსპონირებული იყო ბალტიისპირეთსა და პოლონეთში ქართული კულტურის დეკადაზე.

რომან შეროზიას სახელთან დაკავშირებულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ დაბაში აღმართული მემორიალური ძეგლები, ბიუსტები, შინმოუსვლელი გმირებისადმი მიძღვნილი კომპოზიციები. მოქანდაკის შემოქმედებით წარმატებებს შორის განსაკუთრებული ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს „კუბელი ქალის" პორტრეტულ განსახიერებას. აქ მან სახის განზოგადებისა და პოეტური ტრანსფორმირების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია.

დაუღალავ შემოქმედებით მოღვაწეობას რომან შეროზია მუდამ უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იგი ასრულებდა გაერთიანება „მხატვრის" გამგეობის თავმჯდომარის, სახალხო მეურნეობის ესთეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორიის უფროსის, საქართველოს სამხატვრო ფონდის მთავარი მხატვრისა და სხვა მოვალეობებს. იგი ამჟამადაც, როგორც საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი და ხალხური ხელოვნების სექციის კომისიის თავმჯდომარე, ისევ და ისევ ენერგიულად არის ჩაბმული შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ო. ფირალიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

ს. ს. ლომაძე

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, 1917 წლიდან სკკპ წევრი სევერიან სილოვანის ძე ლომაძე.

ს. ლომაძე დაიბადა 1897 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ სილაურში, გლეხის ოჯახში, 1917 წელს შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. 1921-1923 წლებში ოზურგეთის მუშურ-გლეხური მილიციის რიგებშია. შემდეგ იყო სამაზრო პარტსკოლის კურსანტი, ხოლო 1924-1926 წლებში — სოფელ გურიანთის სათემო პარტორგანიზაციის მდივანი.

ს. ს. ლომაძე წლების მანძილზე მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1935-1938 წლებში მახარაძის ჩაის ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანია, იყო ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოსთან არსებული ბინების გაცვლის ბიუროს უფროსი, 1941-1942 წლებში ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე, ხოლო შემდეგ მშობლიურ სოფელში აგროტექნიკოსად მუშაობდა. 1948 წლიდან იყო ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე.

ს. ლომაძე დაჯილდოებული იყო მედლებით, მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი „სკკპ რიგებში ყოფნის 50 წლით". ძველი კომუნისტის სევერიან ლომაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომთან არსებული ვეტერან კომუნისტთა საბჭო.

თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურო

იწვევს სამუშაოდ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის გაერთიანება „მრეწვრკინიგზაში" ვაგონების დამცილებ მუშებს, უფროს ეკონომისტებს, მევემაგ ეკონომისტებს, შრომისა და ხელფასის ეკონომისტებს, ბუღალტრებს, უფროს ბუღალტრებს, თბომავლის მემანქანეებს, შემკეთებელ ზეინკლებს, მბეჯდავ მემანქანეებს, მატარებლის შემკეთებლებს, ვაგონების ჩამბმელებს, ინჟინრებს რკინიგზის სპეციალობით, ტექნიკოსებს რკინიგზის სპეციალობით.

მუშების შრომის ანაზღაურება-გამომუშავება პრემიულია. მოწინავე მუშაკებს უფლება აქვთ დადგნენ აღრიცხვაზე ბინისა და „ჟიგულის" მარკის ავტომანქანის მიღებისათვის.

დაწვრილებითი ცნობებისა და სამუშაოზე საგზურების მისაღებად მიმართეთ თბილისის შრომითი მოწყობის ბიუროსა და მის ფილიალებს: პლეხანოვის პრ. 67; ოქტომბრის ქ. მე-2 მიკრორაიონი, მეორე კორპუსი; ნავთლუღის ქ. 17; გორგასალის ქუჩა, 17.

გიწვევთ გამოფენა-ვაჭრობაზე

მაღაზია „ალმასში" (ლენინის მოედანი, 4) 16 აპრილს დაიწყო და 22 აპრილამდე გაგრძელდება თბილისის საიუველირო ქარხნის ნაწარმის გამოფენა-ვაჭრობა.

საიუველირო ხელოვნების ოსტატთა ნაკეთობანი, რომლებიც ჩვენი მხატვრული მემკვიდრეობის საგანძურს — ბექა და ბეშქენ ოპიზრების, ფერისმანისა და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას ეყრდნობა, უკვე დიდი ხანია დიდად პოპულარულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ქართველ იუველირთა ნამუშევრები არაერთხელ ყოფილა საექსპორტოდ გატანილი და ექსპონირებული ისეთი ქვეყნების საერთაშორისო გამოფენებზე, როგორიც არის ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, იუგოსლავია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, თურქეთი, კანადა და სხვ.

გასული წლების იმ ნაკეთობათა გარდა, რომლებიც უკვე შეიყვარა მყიდველმა, გამოფენა-ვაჭრობაზე წარმოდგენილი იქნება ბროშების, სამაჯურების, ბეჭდების, სხვადასხვაგვარი საყურეების ახალი ნიმუშები და საცდელი მოდელები.

გამოფენაზე შეგიძლიათ ავტორიტეტიანი სპეციალისტების კონსულტაცია მიიღოთ იმის თაობაზე, თუ რა არის მოდაში, როგორ და სად უნდა ატაროთ ესა თუ ის სამკაული. ქარხნის მუშაკებთან შეხვედრისას შეგიძლიათ კონსულტაცია მიიღოთ აგრეთვე საიუველირო წარმოების ისტორიისა და მომავლის მოდის პროგნოზირების თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

გამოფენის სტუმრებს ელით საინტერესო სიურპრიზი: ყოველი მყიდველი გახდება მონაწილე ლატარიისა, რომელშიც გათამაშდება საბჭოეთის ქალაქების ტურისტული საგზური და თანამედროვე ქართველ იუველირ-ხელოვანთა ნაწარმოებები.

როდესაც თქვენი გემოვნების შესაბამისად შეარჩევთ სამკაულს, სასწრაფოდ გამოაწერეთ ქვითარი — იგი შეიძლება ბედნიერი აღმოჩნდეს!

მობრძანდით, გვეწვიეთ თბილისელ იუველირთა შემოქმედების გამოფენაზე!

ქაბახი

მეექვსე ტურის შემდეგ

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის ბოლო მატჩი. „ნეფთჩიმ" მიიღო როსტოველ არმიელთა კოლექტივი და დამარცხდა ანგარიშით 0:2.

ექვსი ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	6	4	2	0	9-3	10
„დინამო" (კ)	6	3	3	0	12-3	9
ასკ (რ)	6	4	0	2	10-6	8
„დნეპრი"	6	3	1	2	8-7	7
„ტორპედო" (მ)	6	3	1	2	5-5	7
„შახტიორი"	6	2	3	1	12-9	7
„დინამო" (მნ)	6	2	3	1	9-7	7
„მეტალისტი"	6	2	3	1	5-5	7
„ჟალგირისი"	6	2	2	2	10-9	6
„ზენიტი"	6	1	4	1	6-5	6
ცსკა	6	1	4	1	5-5	6
„ჩერნომორეცი"	6	2	1	3	6-8	5
„დინამო" (მ)	6	2	1	3	8-11	5
„დინამო" (თბ)	6	1	3	2	3-5	5
„ნეფთჩი"	6	2	0	4	5-12	4
„ქალგირისი"	6	0	4	2	4-10	4
„არარატი"	6	1	1	4	8-11	3
„ფახთაქორი"	6	1	0	5	4-9	2

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამოს" სატურნირო მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა: მეთოთხმეტე ადგილი, 6 თამაშიდან 1 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთების ბალანსი 3-5, 5 ქულა. შარშანდელ სეზონში ექვსი ტურის შემდეგ თბილისელებს შედარებით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ: მეშვიდე ადგილი, 6 თამაშიდან 2 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთების ბალანსი 7-5, 6 ქულა.

მორიგი, მეშვიდე ტურის მატჩში თბილისის „დინამო" 29 აპრილს უმასპინძლებს „ნეფთჩის". უნდა ვივარაუდოთ, რომ დინამოელები საფეხბურთო ჩემპიონატზე დამდგარ ორკვირიან ანტრაქტს ნაყოფიერი მზადებისათვის გამოიყენებენ.

სატურნირო ორბიტა

შაში. პოლანდიაში დამთავრდა ამ ქვეყნის წარმომადგენლის ჰ. ვირსმასა და ვ. ვირნის (სსრ კავშირი) მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის. მეოცე პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ და საბოლოო ანგარიშით 10:10. რაკი მატჩი ფრედ დამთავრდა, შეჯიბრების წესების თანახმად მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა ჰ. ვირსმამ, რომელიც მანამდე ფლობდა ამ წოდებას.

რაგბი. მარგილანისა (ფერგანის ოლქი) და ქენტაუში (ჩიმკენტის ოლქი) დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპი. ბოლო, მეხუთე ტურის შეხვედრა თბილისის „ლოკომოტივმა" მარგილანში გამართა ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან და დამარცხდა დიდი ანგარიშით — 6:40. ქენტაუში კი ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა ალმაათელ არმიელებთან მატჩი დაამთავრა ფრედ — 3:3. ამ ეტაპის შემდეგ ლიდერობენ სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი და მოსკოვის „სლავა" — 15-15 ქულა. ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩებიან მოსკოველი რკინიგზელები. ქუთაისელებს 10 ქულა აქვთ, თბილისელებს — 7.

ჰოკეი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამთავრებულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელები, მესამეზე — შვედები.

ველოსპორტი. თბილისის ველოდრომზე გამართული საკავშირო შეჯიბრების ბოლო დღეს ქართველმა სპორტსმენებმა ერთი პირველი და სამი მეორე ადგილი დაიკავეს. გამოთიშვით გუნდურ რბოლაში (3 წრის შემდეგ გამოთიშვით) სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი, ტაშკენტელი ალექსანდრე პანფილოვი და ტულელი ალექსანდრე კოროტკოვი, პირველობა მოიპოვა — 1.18,134. ამავე სპორტსმენებმა ომსკელ ალექსი დოლენკოსთან ერთად ასპარეზზე გუნდურ რბოლაში ორი წრის შემდეგ გამოთიშვით და მეორე ადგილი დაიკავეს. სპრინტში უძლიერესი გახლდათ ა. პანფილოვი, მეორე იყო ო. მჭედლიშვილი, მესამე — რიგელი არგის სუტრასი. სპრინტერთა შორის ამჯერად არ უასპარეზიათ სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, ტულელ სერგეი კოპილოვს და ქვეყნის ექსჩემპიონს, თბილისელ ემზარ გელაშვილს. 50 წრეზე გუნდურ რბოლაში (საშუალედო ფინიშებით) პირველ ადგილს დაეუფლა ლეოველი ოლეგ ვოლოცკოვი (14 ქულა), მეორეს — თბილისელი თემურ გიგოლაევი (13), მესამეს — ტულელი სერგეი სურკოვი (10 ქულა).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-68-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-22-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 22-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-83.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 აპრილს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ნაჭყებია

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

17 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მულტფილმი. 10.30 — ა. მ. გორკი. „მზის შვილები". ფილმ-სპექტაკლი. 13.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — თანამედროვეობის კომუნისტები. 16.20 — ცოდნა ძალაა. 17.05 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.35 — ბავშვებს მხედრობის შესახებ. 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — „მოგზაურობა სირიაში". 18.45 — „ადამიანი და კანონი". 19.15 — „ოჯახი და სკოლა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ბაღი. 20.30 — ჰოკეი. ცსკა — „სპარტაკი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ციმბირის რუსული ხალხური გუნდის კონცერტი. 23.15 — დღეს მსოფლიოში. 23.30 — დოკუმენტური ფილმი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.45 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 10.15 და 13.35 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. IV კლასი. 12.05 — ნამდვილი სკოლა. 13.10 — ისტორია. VII კლასი. 14.05 — ნ. ს. ლესკოვი. ცხოვრება და შემოქმედება. 15.00 — „სამშობლოს გმირები" (საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების 50 წლისთავისათვის). 15.45 — კ. სიმონოვი. „რუსი ადამიანები". 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სპორტი გასულ კვირაში. 19.45 — ჰოკეი. ცსკა — „სპარტაკი". 20.20 — „ოქტომბერ წლამდე და უფროსი ასაკისა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — პოეზია. ალექსანდრე ცაროვი. 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ელოდეთ წე[…]

[…]რილებს". 00.05 — ვერონის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. 00.35 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — მხატვრული ფილმი „როცა ვარდები ყვავიან" („უზბეკფილმი"). 11.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კონტაქტი". 11.55 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ჩვეულებრივი ზღაპარი" (ურალის ტელევიზიის ნაწარმოები). 13.00 — „საერთაშორისო დღიური". 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — მოსწავლეთა ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.40 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარადიული ცეცხლი". 17.10 — პროგრამა მოსწავლეებისათვის; მულტიპლიკაციური ფილმი „ძველი მეზღვაურის ხომალდი". 17.25 — წითელწყაროს რაიონის ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეთა კონცერტი. 18.00 — განცხადებები. 18.05 — „გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი". 18.35 — რეკლამა. 18.45 — „კალათბურთის სატელევიზიო სკოლა". 19.25 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — რესპუბლიკის სახალხო არტისტის ოლღა დოლიძის შემოქმედებითი საღამო". 21.35 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.45 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში". 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარადიული მაქმანები". 16.50 — მხატვრული ფილმი „დედამიწაზე მელიან". 18.10 — მოსწავლეებისათვის — გეოგრაფია.

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (49-ე აბონ. I წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პრომეთეული ამბავი; თბილისის სახელმწიფო დრამატული — მთაწმ მალალხი (XVIII აბონ. III წარმ.); მეტეხის — დღიური; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამრჩება.